სოციალური მედიის გავლენა თანამედროვე პოლიტიკურ კამპანიებზე საქართველოში

მაგისტრი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე საზოგადოებრივი ურთიერთობების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

საზოგადოებრივი ურთიერთობები

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნატალია თვალჭრელიძე

ილიას სახელმწიფო

უნივერსიტეტი თბილისი, 2025

განაცხადი

„ვაცხადებთ, რომ ნაშრომი “სოციალური მედიის გავლენა თანამედროვე პოლიტიკურ კამპანიებზე საქართველოში”წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც არარის ნაშრომში მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესებისშესაბამისად”.

მაგისტრი

აბსტრაქტი

ნაშრომის მიზანია სოციალურ მედიაზე დაფუძნებული პოლიტიკური კომუნიკაციის გავლენის შეფასება თანამედროვე საქართველოში მიმდინარე კამპანიებზე, განსაკუთრებით – ახალგაზრდების პოლიტიკური ჩართულობის ჭრილში. თანამედროვე მედია ეკოსისტემაში სოციალური ქსელები მნიშვნელოვან არხად იქცა პოლიტიკური გზავნილების გავრცელებისა და მოქალაქეთა მობილიზებისთვის. კვლევა ფოკუსირდება იმაზე, თუ რამდენად განსხვავებულად რეაგირებენ სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფები სოციალური მედიის გზავნილებზე და რამდენად იზრდება ახალგაზრდების პოლიტიკური აქტიურობა ამ პლატფორმების მეშვეობით.

სამაგისტრო ნაშრომი ეფუძნება რაოდენობრივ კვლევას – ანონიმურ ონლაინ გამოკითხვას, რომელიც ჩატარდა Google Forms-ის მეშვეობით. მისი მიზანი იყო სოციალური მედიის გავლენის შეფასება მოქალაქეების, განსაკუთრებით კი ახალგაზრდების, პოლიტიკური ქცევების ფორმირებაზე. კვლევის ჰიპოთეზა შემდეგნაირად ჩამოყალიბდა: „სოციალურ მედიაზე დაფუძნებული პოლიტიკური კამპანიები საქართველოში უფრო მეტად ზრდის ახალგაზრდების ჩართულობას, ვიდრე სხვა ასაკობრივი ჯგუფების შემთხვევაში.“

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ 18–29 წლის რესპონდენტთა მნიშვნელოვანი ნაწილი სოციალური მედიის გავლენით იღებს ინფორმაციას, აფორმირებს პოლიტიკურ პოზიციებს და ხშირად მონაწილეობს აქტიურ სამოქალაქო მოქმედებებში. საპროტესტო მოძრაობების, მაგალითად, ჯგუფ “დაიტოვე” პლატფორმის ანალიზი ცხადყოფს, რომ ციფრული მობილიზაციის პრაქტიკა საქართველოში სწრაფად იკიდებს ფეხს. აღნიშნული

მიგნებები ადასტურებს ნაშრომის ჰიპოთეზას და წარმოაჩენს სოციალური მედიის მზარდ როლს ქვეყნის პოლიტიკური პროცესების ფორმირებაში.

Abstract

The aim of this thesis is to evaluate the influence of social media-based political communication on current political campaigns in Georgia, with a particular focus on youth political engagement. In the modern media ecosystem, social networks have become key channels for disseminating political messages and mobilizing citizens. The study explores how different age groups respond to political content on social media and to what extent youth political activism is influenced by these platforms.

The research is based on a quantitative methodology – an anonymous online survey conducted via Google Forms. Its purpose was to assess the influence of social media on shaping citizens' political behavior, with a specific emphasis on youth. The hypothesis was formulated as follows: "Social media-based political campaigns in Georgia increase youth engagement more significantly than among other age groups."

The findings reveal that a substantial portion of respondents aged 18–29 receive political information, form their political views, and engage in civic action as a result of social media influence. The analysis of protest movements – such as the "Daitove" group illustrates the growing role of digital mobilization practices in Georgia. These results confirm the research hypothesis and highlight the increasing impact of social media on the formation of political processes in the country.